საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა
და სოციალური დაცვის სამინისტრო
MINISTRY OF LABOUR, HEALTH AND SOCIAL
AFFAIRS OF GEORGIA

KA030101629864817

საქართველო, თბილისი 0159; აკ.წერეთლის გამზ. 144; ტელ.: (+995 32) 251 00 11; ფაქსი:(+995 32) 251 00 19; ცხელი ხაზი:(+995 32) 251 00 33; 15 05; ელ.ფოსტა: info@moh.gov.ge

144 Ak.Tsereteli ave., 0159, Tbilisi, Georgia; Tel.: (+995 32) 251 00 11; Fax:(+995 32) 251 00 19;Hot line:(+995 32) 251 00 33; 15 05; E-mail: info@moh.gov.ge

**№ 01/50744** **04 / აგვისტო / 2017 წ.**

საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითრების ცენტრი
პროგრამის კოორდინატორს
ბატონ ვახტანგ კობალაძეს

ბატონო ვახტანგ,

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროში მიმდინარე წლის 24 ივლისს შემოსული თქვენი N3-67 წერილის პასუხად, რომელშიც მოთხოვნილია ინფორმაცია სურსათის სანელებლებში (სუნელებში) ტყვიის გადაჭარბებული ოდენობის აღმოჩენის ფაქტის თაობაზე გატარებული ღონისძიებების შესახებ, გაცნობებთ, რომ აღნიშნულთან დაკავშირებით განხორციელდა შემდეგი აქტივობები:

1. სამინისტროს კონტროლს დაქვემდებარებულ სსიპ - ლ.საყვარელიძის სახ. დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრში შექმნილია სამუშაო ჯგუფი გენერალური დირექტორის ხელმძღვანელობით;

2. გასატარებელი აქტივობების დაგეგმვისა და კოორდინაციის მიზნით განხორციელდა შეხვედრა სხვადასხვა უწყებებთან (გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო, სსიპ - სურსათის უვნებლობის სააგენტო, სსიპ - გარემოს ეროვნული სააგენტო) და დარგის ექსპერტებთან;

3. სსიპ - ლ.საყვარელიძის სახ. დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის ოფიციალურ ვებ. გვერდზე (www.ncdc.ge) განთავსდა მასალა ტყვიის მავნეობასთან დაკავშირებით;

4. განიხილება და მუშავდება ორგანიზმში ტყვიის შემცველობაზე კვლევის დიზაინი.

პატივისცემით,

საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი პირი

ღონისძიებათა დაგეგმვისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამმართველოს უფროსი, მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელი

ქეთევან ფხაკაძე